

სუბალტერნის რეპრეზენტაცია ეგნატე ნინოშვილის მოთხოვნებში

გიორგი ნიჟარაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობა (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბელა წიფურია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ნიჟარაძე

29.06.2021

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია სუბალტერნის რეპრეზენტაციის თავისებურებები ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებში. ნაშრომის მიზანია დაადგინოს როგორ აღიქვამენ პერსონაჟები თავიანთ სუბალტერნულობას და როგორ რეაგირებენ დომინანტური ჯგუფების მხრიდან დაქვემდებარების მცდელობაზე.

საკვლევად შერჩეულია ნინოშვილის ოთხი მოთხრობა: *ქრისტინე, პარტახი, სიმონა* და *გოგია უიშვილი*. ნაშრომში, ძირითადად, ვეყრდნობით სუბალტერნის გაიატრი ჩაკრავორტი სპივაკისეულ კონცეფციას, რომელიც კოლონიურ საზოგადოებაში ქალების მდგომარეობაზე ამახვილებს ყურადღებას. თუმცა, სუბალტერნული პერსონაჟების განხილვისას მხოლოდ ქალ პერსონაჟებზე არ ვკონცენტრირდებით.

ტერმინი „სუბალტერნის“ დამკვიდრება იტალიელ ფილოსოფოსს ანტონიო გრამშის უკავშირდება. თუმცა, დროთა განმავლობაში ტერმინმა ცვლილებები განიცადა. ნაშრომში ერთი თავი ეთმობა სუბალტერნის კონცეფციის სამ მნიშვნელოვან აღქმას: ანტონიო გრამშის, რანაჯიტ გუჰასა და სუბალტერნის კვლევების ჯგუფის და სპივაკისეულ სუბალტერნს. ცალკე თავი ეთმობა ეგნატე ნინოშვილის შემოქმედების შესახებ არსებული სამეცნიერო წყაროების მიმოხილვას.

მოთხრობების ანალიზის საფუძველზე დადასტურდა სპივაკის დებულება ქალთა „ორმაგი ჩაგვრის“ შესახებ. ამასთან, ნინოშვილის მიერ აღწერილი გლეხები განიცდიან კოჭეზიის ნაკლებობას. ისინი მოდერნული ეპოქის თანამედროვენი არ არიან და შესაბამისად, ნაციონალურ ნარატივში ვერ ერთვებიან.

საკვანძო სიტყვები: სუბალტერნი, ეგნატე ნინოშვილი, კოლონიური საზოგადოება, ქალთა ჩაგვრა.

Abstract

The master's thesis analyzes features of subaltern representation in Egnate Ninoshvili's stories. The aim of the thesis is to determine how main characters perceive their subalternity and how they react to dominant groups' subordination attempts.

Four stories of Ninoshvili have been selected for the study: *Christine*, *The deserted house (Partakhi)*, *Simona* and *Gogia Uishvili*. In the paper, we mainly rely on Gayatri Chakravorty Spivak's subaltern concept which focuses on oppression of women in colonial societies. However, when discussing the subaltern characters, we do not focus only on female characters.

The establishment of the term "subaltern" is associated with an Italian philosopher Antonio Gramsci. However, time by time the term has changed. One chapter in this thesis is devoted to three important perceptions of the subaltern concept: one by Antonio Gramsci, another by Ranajit Guha and Subaltern studies group and the third by Gayatri Chakravorty Spivak. A separate chapter reviews the scientific sources about Egnate Ninoshvili's works.

Based on the analysis of the stories, Spivak's statement about "double oppression" of women has been revealed. Besides, the peasants described by Ninoshvili suffer from the lack of cohesion. They are not contemporary to the modern era and therefore, they can not be incorporated into the national narrative.

Keywords: *Subaltern, Egnate Ninoshvili, Colonial society, Oppression of women.*